პროექტი

საქართველოს კანონი
„ოკუპანტი ქვეყნის - რუსეთის ფედერაციის გავლენებისგან დაცვის შესახებ“

მუხლი 1.
საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით განცხადებული თანხმობის გარეშე, 1907 წლის ჰააგის რეგულაციების, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია.

მუხლი 2.
ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს ამ კანონის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) პირი - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერი სხვაგვარი გაერთიანება;
ბ) ოკუპანტი ქვეყნის ძალა -
ბ.ა) რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება ან პოლიტიკური პარტია;
ბ.ბ.) რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ან მის ფარგლებს გარეთ მყოფი პირი, რომელიც მოქმედებს რუსეთის ფედერაციის ღია ან/და დაფარული ინტერესების შესაბამისად, მათ შორის - ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის წინააღმდეგ;
ბ.გ.) იურიდიული პირი ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერი სხვაგვარი გაერთიანება, რომელიც შექმნილია რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად ან რომელიც თავის ძირითად საქმიანობას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ახორციელებს.
ბ.დ.) სახელმწიფო, რომელსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები აღიარებული აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად;
ბ.ე.) სახელმწიფო, რომელმაც არ დაუჭირა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის რეზოლუციას გაეროს გენერალური ასამბლეის, გაეროს უშიშროების საბჭოს ან ევროსაბჭოს საპარლამენტო სესიის სხდომაზე.
გ) ოკუპანტი ქვეყნის გავლენის აგენტი - უშუალოდ ოკუპანტი ქვეყნის ძალის კონტროლის, ბრძანების ან თხოვნის შესაბამისად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან უმეტესწილად ოკუპანტი ქვეყნის ძალის მიერ კონტროლირებადი ან დაფინანსებული პირის კონტროლის, ბრძანების ან თხოვნის შესაბამისად მოქმედი ნებისმიერი პირი, რომელიც უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით:
გ.ა) ოკუპანტი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ჩართულია ან/და ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ აქტივობებში;
გ.ბ) ოკუპანტი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოში მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხების თაობაზე მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი ან პოლიტიკური

მრჩეველი;
გ.გ) ოკუპანტი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ფინანსური ან არაფინანსური საშუალებებით საქართველოში აფინანსებს სხვადასხვა სუბიექტებს, სესხად ან სხვა საკრედიტო ვალდებულებად გასცემს ფულს ან სხვა სახის ქონებას;
გ.დ) წარმოადგენს ოკუპანტი ქვეყნის ინტერესებს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობის დროს.
დ) პოლიტიკური აქტივობა - ნებისმიერი აქტივობა, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული, საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასთან ან შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ორგანოზე, თანამდებობის პირზე ან საზოგადოების რომელიმე ნაწილზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად;
ე) რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება - ნებისმიერი პირი, პირთა ჯგუფი ან ორგანო, რომელიც უშუალოდ ახორციელებს დე ფაქტო ან დე იურე პოლიტიკურ იურისდიქციას, ასევე ნებისმიერი პირი, პირთა ჯგუფი ან ორგანო, რომელზეც ასეთი უფლებამოსილების განხორციელება პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დელეგირებული;
ვ) რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური პარტია - ისეთ აქტივობებში ჩართული ორგანიზაცია ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერი გაერთიანება, რომლის მიზანია ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობა ან ხელისუფლების განხორციელებაზე გავლენის მოხდენა;
ზ) საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხების თაობაზე მრჩეველი - საქართველოში მოქმედი ნებისმიერი პირი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების საკითხებზე მრჩევლის საქმიანობას ახორციელებს ოკუპანტი ქვეყნის სასარგებლოდ;
თ) პოლიტიკური მრჩეველი - საქართველოში მოქმედი ნებისმიერი პირი, რომელიც პოლიტიკური მრჩევლის საქმიანობას ახორციელებს ოკუპანტი ქვეყნის სასარგებლოდ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში.

მუხლი 3.
ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ პირებზე:
ა) დიპლომატები და კონსულები, დიპლომატიური სამსახურისა და საკონსულო დაწესებულების თანამშრომლები;
ბ) პირი, რომელიც რელიგიურ, საგანმანათლებლო, მეცნიერულ, აკადემიურ ან სახელოვნებო საქმიანობას კეთილსინდისიერად ეწევა;
გ) ადვოკატი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში.

მუხლი 4.
აკრძალულია ოკუპანტი ქვეყნის გავლენის აგენტის საქმიანობა, რაც ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 5.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი